MOORE

ზოგადი შეთავაზება

მევენახეობა-მეღვინეობის დარგის
საწარმოთათვის შეფასებისა და
საკონსულტაციო მომსახურების გაწევაზე

ჩვენს შესახებ

MOORE abc არის ერთ-ერთი ლიდერი კომპანია ქვეყანაში, რომელიც 2008 წლიდან ეწევა საბუღალტრო, საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების, ქონების შეფასების, აუდიტორულ და მასთან დაკავშირებულ სხვა პროფესიულ მომსახურებას მთელი საქართველოს მასშტაბით.

ჩვენს გუნდს, რომელიც მანამდეც ერთად მუშაობდა, გააჩნია დაახლოებით ორი ათწლეულის განმავლობაში დაგროვებული გამოცდილება, მეღვინეობისა და მევენახეობის დარგში შეფასებისა და კონსულტირების მიმართულებით.

სერვისები, რომლებსაც ვთავაზობთ დარგში მოღვაწე საწარმოებს, შემდეგია:

საშემფასებლო

- ვენახების შეფასება
- სავენახე მიწის ნაკვეთის შეფასება
- მანქანა-დანადგარებისა და აღჭურვილობის შეფასება
- ბიოლოგიური აქტივების შეფასება
- საწარმოო და სამეურნეო შენობა-ნაგებობების შეფასება
- მეღვინეობისა და სადისტილაციო დანადგარების შეფასება
- მარაგების შეფასება
- საწარმოს და კაპიტალის შეფასება.

საკონსულტაციო

- აქტივების ნაწილობრივი (განკერძოებული კლასების) ან სრული ინვენტარიზაცია
- საინვესტიციო პროექტის შემუშავება და ინვესტიციის ეფექტურობის შეფასება
- არსებული საინვესტიციო პროექტის ანალიზი
- SWOT ანალიზი

მომდევნო გვერდებზე დეტალურად განვიხილავთ შემოთავაზებული მომსახურების თითოეულ პუნქტს, შეფასებასთან დაკავშირებული ზოგიერთი სპეციფიკური ასპექტის განსამარტავად.

საშემფასებლო მომსახურება

რა ვითარებაში შეიძლება დასჭირდეს თქვენს საწარმოს საშემფასებლო მომსახურება

ყოველდღიურობაში დამკვიდრებული ეკონომიკური ურთიერთობებიდან გამომდინარე, იურიდიულ და ფიზიკურ პირებს შეიძლება დასჭირდეთ ქონების ღირებულების დადგენა და სასურველია, რომ საამისოდ გამოიყენონ საშემფასებლო მომსახურება, ქონების ყიდვის ან გაყიდვისას, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, სახსრების მოზიდვის ან დაბანდებისას, ქონების ფინანსური უზრუნველყოფისთვის გამოყენებისას, აქტივების გადაფასებისას, მემკვიდრეობით გადაცემისას, დაზღვევისთვის, კომპანიების შერწყმის დროს და ა.შ.

ვენახები

ვენახი არის მოცემულ მომენტში ვაზით გაშენებული მიწის ნაკვეთი, რომელიც დარგულია, ძირითადად, მეღვინეობისთვის (აგრეთვე, სუფრის ყურძენისთვის, ქიშმიშისა და უალკოჰოლო წვენისთვის) და მასში დატოვებულია საკმარისი დაურგავი ადგილი მოსავლის აღების, ტრანსპორტირების და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მანევრირებისთვის.

ვენახი ხშირად ხასიათდება მისი ტერუარით, - ფრანგული ტერმინი, რომელიც "ადგილის გრძნობას" ნიშნავს და გულისხმობს ვენახების სპეციფიკურ გეოგრაფიულ და გეოლოგიურ მახასიათებლებს, რაც შეიძლება ღვინოში გამოვლინდეს.

ვენახი შეიძლება შეფასდეს როგორც ბაზარზე წარმოდგენილი ანალოგების გაყიდვებზე დაფუძნებული საბაზრო მიდგომით, ისე - შემოსავლის კაპიტალიზაციის მიდგომით. თუმცა, ვენახის ღირებულების კვალიფიციური შეფასება გულისხმობს მის მიერ მოგების გამომუშავების პოტენციალის გათვალისწინებას, რაც შემოსავლების მიდგომის გამოყენების ექვივალენტურია. ამ მიდგომის ფარგლებში შესასრულებელია შემდეგი სამუშაოები:

- ვენახების ბუნებრივი გარემოს (ექსპოზიცია, ფერდობი, წყლები და ა.შ.) ზემოქმედების შემოწმება და შეფასება
- მცენარეთა სიჯანსაღის შემოწმება
- შპალერის ხარისხის და მდგომარეობის შემოწმება
- გასხვლის სისტემის შემოწმება
- ვენახის გეგმარების შეფასება და ანალიზი
- ყურძნის ჯიშების ზონირებასთან შესაბამისობის შემოწმება
- ნარგაობის ასაკის ანალიზი
- საშუალო მოსავლიანობის დადგენა
- გამოსწორებადი დაზიანებების განსაზღვრა - CapEx (საჭიროების შემთხვევაში)
- ვენახის მოვლის წლიური ხარჯების შეფასება
- ყურძნის გასაყიდი ფასების შეფასება
- ფინანსური პროგნოზის შემუშავება
- საბაზრო ღირებულების შეფასება
- შეფასების ანგარიშის მომზადება

სავენახე მიწა

თავისუფალი სახნავი მიწა, რომელიც გამიზნულია მრავალწლოვანი ხეხილის გასაშენებლად (ჩვენს შემთხვევაში, ვენახი) შეიძლება შეფასდეს ანალოგიური მიწის ნაკვეთების გაყიდვის ფასების საფუძველზე, ან შემოსავლებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებით, რაც გულისხმობს მისი ღირებულების განსაზღვრას იმ დაშვებით, რომ გაშენებულია ნარგაობებით და მოაქვს შემოსავლები.

საშემფასებლო მომსახურება

ამის შემდეგ, ქონების მთლიანი ღირებულებიდან განაშენიანების ხარჯების გამოკლებით გამოიანგარიშება მიწისთვის ნაშთი, რაც წარმოადგენს თავისუფალი მიწის ღირებულებას.

მცირე ზომის მიწის ნაკვეთები, რომელთა ფართობიც არ აღემატება რამდენიმე ჰექტარს, შეიძლება შეფასდეს საბაზრო მეთოდით (ანალოგების გაყიდვის ფასების საფუძველზე), მაგრამ როცა საქმე ეხება დიდ მიწის ნაკვეთებს, ბაზარზე გაყიდული ან გასაყიდად გამოტანილი ანალოგების უკმარისობის გამო და ასევე, უფრო კვალიფიციური შეფასებისა და ეკონომიკურად დასაბუთებული ღირებულების მისაღებად, მიზანშეწონილია შემოსავლებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენება.

ღირებულების სრულიად კვალიფიციური შეფასებისთვის, რადგან მოსავლის რაოდენობა და ხარისხი დიდად არის დამოკიდებული კლიმატურ ფაქტორებზე, ნიადაგის მახასიათებლებსა და ნაკვეთის ექსპოზიციაზე (კოლექტიურად მოიხსენიება ფრანგული ტერმინით „ტერუარი“), რაც შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს არა მარტო სხვადასხვა მდებარეობებისთვის, არამედ ერთი მიწის ნაკვეთის ფარგლებშიც კი, საჭიროა ამ გარემოებების საფუძვლიანი ანალიზი და მომხმარებელს ვთავაზობთ მიწის ნაკვეთის რამდენიმე წერტილში აღებული ნიადაგის ნიმუშების ლაბორატორიული ანალიზის ჩატარებას, ანალიზის შედეგების შესწავლას, მომავალი ვენახის ოპტიმალურ დაგეგმარებას და ა.შ.

მანქანა-დანადგარები

მევენახეობაში ძირითადად გამოყენებადი ტექნიკა არის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტრაქტორი, რომელზეც შეიძლება დამაგრდეს სხვადასხვა ფუნქციონალის მოწყობილობები, როგორიცაა კულტივატორი, სასუქის შემტანი, შემფრქვევი, სათიბელა, ტრიმერი, სასხლავი, მულჩერი, სარეველას მოსაშორებელი, შნეკი, ყურძნის საკრეფი და სხვა. თუმცა, მსოფლიოს მევენახეობის ძირძველ კერებში, რომელსაც საქართველოც მიეკუთვნება, მათ შორის განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებშიც, იმ სამუშაოების უდიდესი ნაწილის შესასრულებლად, რომელსაც ზემოთ ჩამოთვლილი აღჭურვილობა ასრულებს, ძირითადად ადამიანის შრომა გამოიყენება. მექანიზებულ მოსავლის აღებას, გასხვლას, სარეველას მოშორებას და მულჩირებას მეტწილად მევენახეობის ახალ რეგიონებში ეწევიან (მაგ. აშშ, არგენტინა, ჩილე, ახალი ზელანდია).

ვენახებში გამოსაყენებელ სხვა მანქანებს განეკუთვნება ტრანსპორტიორი და სატვირთო მანქანა, რომლითაც ვენახიდან მოკრეფილი მოსავალი გამოაქვთ.

ყველა ამ მანქანა-დანადგარის შეფასება ხორციელდება ბაზარზე შემოთავაზებული ანალოგების ფასების საფუძველზე.

ბიოლოგიური აქტივები

ბიოლოგიური აქტივი ბუღალტრული ტერმინია და მოიცავს ნებისმიერ ცოცხალ ცხოველს ან მცენარეს, რომელიც საწარმოს საკუთრებაშია. საბალანსო უწყისში კომშანიის აქტივები აღრიცხულია კონკრეტული დროსთვის, კლასიფიცირებულია ტიპების მიხედვით და მიკუთვნებული აქვთ თანხობრივი მაჩვენებლები, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს მათ სამართლიან ღირებულებას. ერთ-ერთი ასეთია ბიოლოგიურ აქტივები.

არცთუ ისე შორეულ წარსულში, როდესაც ვენახების კულტივაცია მექანიზებულად არ ხორციელდებოდა, ნარგაობებთან ერთად, ხვნისთვის გამოსაყენებელი გამწევი საქონელიც ჩართული იქნებოდა მევენახეობის საწარმოს ბიოლოგიური აქტივების შემადგენლობაში. თუმცა, დარგის განვითარების საღღეისო დონიდან გამომდინარე, ვენახი (უშუალოდ ვაზის ნარგაობა) შესაძლოა ასეთი საწარმოების ერთადერთ ბიოლოგიურ აქტივს წარმოადგენდეს.

ნაყოფისმომცემი მცენარეები არის მოსავლისა და მრავალწლიანი სახნავი მიწიდან მისაღები სარგებლის უმთავრესი წყარო, რომლებიც ნიადაგს იყენებენ საზრდოსთვის. ამიტომ, ნარგაობის (ბიოლოგიური აქტივის) ღირებულების შესაფასებლად გამოიყენება შემოსავლებზე დაფუძნებული მეთოდი, რაც გულისხმობს გაშენებული მიწიდან გრძელვადიან პერსპექტივაში მისაღები შემოსავლებისა და ამ შემოსავლების მისაღებად გასაწევი ხარჯების შეფასებას. რადგან მიწა, თავის მხრივ, ჩართულია მოსავლისა და შემოსავლის მიღებაში, ნარგაობის შესაფასებლად, რომელიც მიწის გარეშე ვერ იარსებებს, თავისუფალი მიწის ღირებულება აკლდება მთლიან წმინდა შემოსავლებს.

საწარმოო და სამეურნეო შენობები

საწარმოო და სამეურნეო შენობები, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა დანიშნულების მქონე სათავსსა და სივრცეს, როგორიცაა ღვინის მარნები, ლაბორატორიები, საწარმოო ზონები, სადეგუსტაციო ზონები, საგამოფენო დარბაზები და სპეციფიკური დანიშნულების დამხმარე შენობები, უნდა შეფასდეს დანახარჯების მეთოდით, რაც გულისხმობს შენობა-ნაგებობების ჩანაცვლების ღირებულების დადგენას და განცდილი ცვეთის გამოქვითვას.

საშემფასებლო მიდგომის შერჩევისას დანახარჯთა მეთოდს უპირატესობა იმიტომ ენიჭება, რომ ასეთი აქტივები ძალიან იშვიათად იყიდება ვენახისგან განცალკევებულად და ბაზარი უკიდურესად შეზღუდულია მსგავსი აქტივების გაყიდვის ან შეთავაზების კუთხით, რაც არ იძლევა საბაზრო მეთოდის სრულფასოვნად გამოყენების საშუალებას.

მეღვინეობისა და სადისტილაციო დანადგარები

მეღვინეობის დანადგარები მოიცავს ღვინის წარმოების სხვადასხვა ეტაპზე გამოსაყენებელ დანადგარებს, როგორიცაა საჭყლეტი, წნეხი, დამფასოებელი, ფილტრი, ფერმენტაციის ავზი, დასაძველებელი კასრები, ჩამომსხმელი ხაზი და ა.შ.

სასმელად მოსახმარი ალკოჰოლის გამოსახდელად გამოიყენება ორი ტიპის მოწყობილობა, გამოსახდელი ქვაბი და გამოსახდელი სვეტი. მათ შორის მთავარი განსხვავება ის არის, რომ, მაშინ, როცა უფრო მარტივი გამოსახდელი ქვები ორთქლის დაგროვების და კონდენსირების შემდეგ, ალკოჰოლს თითო ადღეებაზე ხდის მხოლოდ ერთხელ და ქმნის დაბალი სიწმინდის სურნელოვან სითხეს, გამოსახდელი სვეტი ალკოჰოლის შემცველობის 96%-მდე მიღწევის საშუალებას იძლევა და ქმნის უფრო სუფთა, მაღალი სიწმინდის და უფრო ნეიტრალურ სპირტს.

მარნებში, სადაც გამოსახდელი მასალა შეიძლება იყოს გაუფილტრავი ღვინო, დურდო ან მთხლე, ისეთი სასმელების გამოსახდელად, როგორიცაა საბრენდე ღვინის სპირტი (eau-de-vie de vin), ჭაჭა და გრაპა, იყენებენ სპილენძის სახდელ ქვაბებს.

მარაგები

მარაგები მოიცავს ნივთებს, რომლებიც ერთჯერადი ან მოკლე ვადით გამოყენებადია. ისინი შესაძლოა ასევე მოიხსენიებოდეს როგორც სახარჯი მასალები. ამ ნივთებს ისეთი თვალყურის დევნება არ ესაჭიროება, როგორიც აღჭურვილობას, მაგრამ მათი რაოდენობის ცოდნა ორგანიზაციისთვის მნიშვნელოვანია, რათა საჭიროების შემთხვევაში შეავსონ იგი. მარაგები მოიცავს, მაგალითად, ღვინომასალებს, ბოთლებს, საცობებს, ყველა სახის მალფუჭებად საქონელს და ნივთებს, რომლებიც მხოლოდ ერთხელ გამოიყენება. ასეთია, მაგალითად, ჰაერის და ღვინის ფილტრები ან შესაფუთი მასალები. ყველა ამ საგნისა და ნივთის შეფასება ხორციელდება საბაზრო მიდგომის მეშვეობით.

საშემფასებლო მომსახურება

საწარმო და კაპიტალი

საწარმოს ღირებულება და კაპიტალის ღირებულება შერწყმის ან ყიდვა-გაყიდვისას ბიზნესის შეფასების ორი გავრცელებული საშუალებაა, მაგრამ თითოეული მოიაზრებს ოდნავ განსხვავებულ ხედვას. მაშინ, როცა საწარმოს ღირებულება, მსგავსად საბალანსო უწყისისა, იძლევა ბიზნესის საერთო მიმდინარე ღირებულების ზუსტ გაანგარიშებას, კაპიტალის ღირებულება გვთავაზობს მყისიერ სურათს, ბიზნესის როგორც მიმდინარე, ისე პოტენციური მომავალი ღირებულების შესახებ.

თუმცა, საწარმოს ღირებულება ასევე შეიძლება შეფასდეს მომავალი შემოსავლის ნაკადის საფუძველზე. ამ შემთხვევაში, ფასდება ფირმის თავისუფალი ფულადი ნაკადი, რაც დისკონტირდება დისკონტირების საბაზრო განაკვეთის გამოყენებით და ჯამდება ბიზნესის ტერმინალურ ღირებულებასთან (გაყიდვის ხარჯების გამოკლებით). რაც შეეხება საკუთარი კაპიტალის ღირებულებას, მხედველობაში მიიღება როგორც არსებული ნაღდი ფული, ისე სესხის თანხა.

უმეტეს შემთხვევაში, ინვესტორი ან კომპანიის საკონტროლო პაკეტის შესყიდვით დაინტერესებული პირი ეყრდნობა საწარმოს ღირებულებას, როგორც მისი შეფასების სწრაფ და მარტივ გზას. მეორეს მხრივ, კომპანიის მფლობელები და აქციონერები, სამომავლო მისაღები გადაწყვეტილებების ფორმირებისას, იყენებენ კაპიტალის ღირებულებას.

ღვინის კომპანიების, მათ შორის, ელიტურის მყიდველთა უმეტესობა კერძო პირები, სტრატეგიული მყიდველები ან კერძო სააქციო საზოგადოებები არიან, რომელთაც საჯარო კომპანიებთან შედარებით უფრო გრძელვადიანი საინვესტიციო ჰორიზონტი აქვთ. ამრიგად, რათა გავიგოთ მეღვინეობის ბიზნესის ღირებულება, უნდა დავიწყოთ ორი ძირითადი ელემენტის - ფულადი ნაკადების ღირებულებასა და აქტივების წმინდა ღირებულების მნიშვნელობის გააზრებით.

საკონსულტაციო მომსახურება

რა გარემოებაში შეიძლება თქვენს საწარმოს დასჭირდეს საკონსულტაციო მომსახურება

სწრაფადცვალებად სამყაროში იურიდიულ და ფიზიკურ პირებს შესაძლოა დასჭირდეთ საკონსულტაციო მომსახურება მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისას, სახსრების მოზიდვისას ან დაბანდებისას, პროექტების განხორციელებადობის შესაფასებლად, რისკების მინიმიზაციისა და მომგებიანობის გასაზრდელად, დაზღვევისთვის, სასესხო ან კაპიტალში ფინანსირების მიზნებისთვის და სხვა.

ინვენტარიზაცია

ინვენტარიზაცია, მიუხედავად იმისა, იგი აქტივების განსაზღვრული კლასისთვის ტარდება თუ ყველა კლასისთვის, შეიძლება გულისხმობდეს როგორც მარტივ აღწერას, რაც მოიცავს ნივთების იდენტიფიკაციას, კონკრეტული თარიღისთვის მათი მდგომარეობისა და რაოდენობის/მოცულობის განსაზღვრას და შემდგომ ამის ასახვას საინვენტარიზაციო უწყისში, ისე, ზემოხსენებულთან ერთად, კომპანიისთვის განყოფილებებისა და აქტივების კლასების კოდირების ერთიანი სისტემის შემუშავებას, ნივთების მარკირებას, განყოფილებათაშორისი მიმოქცევის საბუთების ფორმების შემუშავებას და მათში ნივთების ყოველდღიური მოძრაობისა და საწარმოს ამა თუ იმ უბანზე არსებული ნაშთების შესახებ მონაცემების ასახვის წესების განსაზღვრას.

ყოველივე ეს აქტივების მართვის ეფექტურობის გაზრდის, ასევე საწარმოს სამეურნეო საქმიანობაზე და მის ქონებაზე სათანადო კონტროლის განხორციელების საშუალებას იძლევა.

საინვესტიციო პროექტის შემუშავება

პროექტის შემუშავება არის რესურსების დაგეგმვის, ორგანიზების, კოორდინაციისა და კონტროლის პროცესი და საშუალება იმ კონკრეტული მიზნების მისაღწევად, რომელთათვისაც განხორციელდება ინვესტიცია.

პროცესი მოიცავს კონცეფციიდან მშენებლობაზე გადასვლას და თითოეული ეტაპისთვის უნდა მომზადდეს და გაითვალოს სამოქმედო გეგმა.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე ფასდება ინვესტიციის ეფექტურობა, რამდენიმე ფინანსური კოეფიციენტის ჩათვლით, რაც ინვესტორს ეხმარება პროექტში ინვესტირებაზე გადაწყვეტილების მიღებაში, ან მასში ცვლილებების შეტანაში, რათა დაიკმაყოფილოს თავისი ფინანსური მოთხოვნილებები და უზრუნველყოს საჭირო ეფექტურობა.

არსებული საინვესტიციო პროექტის ანალიზი

კორპორატიული სამყაროს რეალობა ძალიან რთულია. ახალ ბიზნეს ატმოსფეროში შესვლის დაგეგმვისას კომპანიამ უნდა გაითვალისწინოს რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი: ფინანსური ხარჯები, გადასახადები, აქტივების და ბიზნესის ბუნება, კონკურენტუნარიანობა, რისკების მართვა და საკუთრების კონტროლი.

არსებული საინვესტიციო პროექტის ანალიზის კრიტერიუმებია წმინდა სადღეისო ღირებულება (NPV), უკუგების შიდა განაკვეთი (IRR), ამოგების პერიოდი, მომგებიანობის ინდექსი (PI) და მოგებისა და ხარჯების თანაფარდობა (BCR).

SWOT ანალიზი

SWOT ნიშნავს ძლიერ და სუსტ მხარეებს, შესაძლებლობებს და საფრთხეებს და არის მარტივი, მაგრამ მძლავრი ჩარჩო, რაიმე ახალი

საკონსულტაციო მომსახურება

სტრატეგიის შესახებ გადაწვეტილების მიღებამდე ბიზნესის ამ ოთხი ასპ-ექტის გასაანალიზებლად. ეს კომპანიას საშუალებას აძლევს დაეყრდ-ნოს იმას, რაც კარგად გამოსდის, განსაზღვროს რა აკლია, მინიმუმამდე დაიყვანოს რისკები და მაქსიმალურად გამოიყენოს წარმატების შანსები. SWOT ანალიზის გამოყენება შეიძლება სტრატეგიის ჩამოყალიბების არ-აფორმალური დაწყებისთვის ან უფრო რთული სახითაც, სერიოზულ სტრატეგიულ ინსტრუმენტად. მისი გამოყენება ასევე შეიძლება კონკურ-ენტების ქმედებათა მისახვედრად, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს თან-მიმდევრული და წარმატებული კონკურენტული პოზიციის შექმნას.

ძლიერ მხარეში მოიაზრება ის, რასაც ორგანიზაცია განსაკუთრებულად კარგად აკეთებს ან რაც მას განასხვავებს კონკურენტებისგან. ამასთან, მხედველობაში მიიღება უპირატესობები, რომლებიც ორგანიზაციას აქვს სხვა ორგანიზაციებთან. ეს შეიძლება იყოს პერსონალის მოტივაცია, გარკვეულ მასალებზე წვდომა, ან საწარმოო პროცესების უკეთ მოწყობა.

ორგანიზაციის ნებისმიერი ასპექტი წარმოადგენს სიძლიერეს, თუ მას აშკარა უპირატესობა მოაქვს. მაგალითად, თუ ყველა კონკურენტი აწარმოებს მაღალი ხარისხის პროდუქციას, მაშინ მაღალი ხარისხის საწარმოო პროცესი არ არის სიძლიერე ბაზარზე, იგი აუცილებლობაა.

ამის შემდეგ საჭიროა ორგანიზაციის სუსტი მხარეების განხილვა. SWOT ანალიზი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ფასეული, თუ შეიკრიბება ყვე-ლა საჭირო ინფორმაცია. ასე რომ, უმჯობესია იყო რეალისტი დღეს და სიმართლეს რაც შეიძლება მალე გაუსწორო თვალი.

სისუსტეები, ისევე როგორც სიძლიერეები, ორგანიზაციის განუყოფელი თვისებებია, ამდენად, საჭიროა ყურადღების გამახვილება ხალხზე, რე-სურსებზე, სისტემებზე და პროცედურებზე. მნიშვნელოვანია იმაზე ფიქ-რი, თუ რისი გაუმჯობესება შეუძლია ორგანიზაციას და რა პრაქტიკებზეა საჭირო უარის თქმა.

შესაძლებლობები ეს ის პოტენციური შანსებია, რაც პოზიტიური შედე-გების მიღების საშუალებას იძლევა, რომელიც ორგანიზაციამ მისსავე საკეთილდღეოდ უნდა გამოიყენოს. როგორც წესი, ეს შანსები წარმო-იქმნება კომპანიის მიღმა არსებული სიტუაციებიდან და საჭიროებს ყურადღების გამახვილებას იმაზე, თუ რა შეიძლება მოხდეს მომავა-ლში. შესაძლებლობები შეიძლება წარმოიშვას იმ ბაზრის განვითარების შედეგად, რომელსაც კომპანია ემსახურება, ან იმ ტექნოლოგიებისა, რომელსაც კომპანია იყენებს. შესაძლებლობების პოვნისა და გამოყენების უნარს შეუძლია უზარმაზარი უპირატესობა მიანიჭოს ორგანიზაციას კონურენტებთან მიმართებაში და უზრუნველყოს ბაზარზე წამყვანი პოზიციის დაკავება.

საფრთხედ მიიჩნევა ყველაფერი, რამაც შეიძლება უარყოფითად იმო-ქმედოს ბიზნესზე გარეგანი ფაქტორების შედეგად. მაგალითად, მომა-რაგების ჯაჭვის პრობლემები, ბაზრის მოთხოვნების ცვლილება და კა-დრების უკმარისობა. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საფრთხების გა-ნჭვრეტა და მათ საწინააღმდეგოდ ნაბიჯების გადადგმა, რათა კომპანია არ გახდეს მათი მსხვერპლი და არ შეაჩეროს ზრდა.

ყოველთვის საჭიროა იმის გათვალისწინება, თუ რას აკეთებენ კონკუ-რენტები და ამ ამოცანის გადასაჭრელად, საჭიროებს თუ არა კომპანია საკუთარი აქცენტების შეცვლას. მაგრამ ასევე აუცილებელია იმის გაა-ზრება, რომ რასაც კონკურენტები აკეთებენ, შეიძლება კომპანიისთვის არ იყოს მიზანშეწონილი და როდესაც არ არის ნათელი თუ რამდენად გააუმჯობესდება ამით კომპანიის მგომარეობა, საჭიროა კონკურენტების ქმედებათა პირდაპირი კოპირებისგან თავის შეკავება.

MOORE

Moore Abc, LLC
6 Marjanishvili Street
0102, Tbilisi, Georgia
T +995 32 2 000 123
E info@moore.ge
www.moore-georgia.ge